




საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# საგადახდო ბარათების სტატისტიკა

საგადახდო სისტემების დეპარტამენტი  
I კვარტალი, 2018

საქართველოში გამოშვებული ბარათების რაოდენობა  
(2014-2018)


მლნ ბარათი



2018 წლის I კვარტლის მდგომარეობით:


- ☒ საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობამ შეადგინა 8.8 მილიონი.
- ☒ წინა (IV კვ., 2017 წ.) კვარტალთან შედარებით:
  - ✓ 3%-ით შემცირდა გამოშვებული ბარათების რაოდენობა.
  - ✓ 3%-ული პუნქტით გაიზარდა გამოშვებულ ბარათებში საკრედიტო ბარათების წილი და მან შეადგინა 11%.
- ☒ 2017 წლის I კვარტალთან შედარებით 5%-ით შემცირდა გამოშვებული ბარათების რაოდენობა.
- ☒ საქართველოში 10 სულ მოსახლეზე გამოშვებულია 24 ბარათი.

გამოშვებული ბარათები საბარათო სისტემების მიხედვით




გამოშვებული ბარათების რაოდენობა

მლნ ბარათი



### გამოშვებული საკრედიტო და სადებეტო ბარათები (მარტი, 2015 - 2018)

ათასი ბარათი




	საკრედიტო	ცვლილება %-ში	სადებეტო	ცვლილება %-ში	სულ	ცვლილება %-ში
2015 (მარტი)	1,435,718		6,378,004		7,813,722	
2016 (მარტი)	753,407	-48%	7,591,144	19%	8,344,551	7%
2017 (მარტი)	685,098	-9%	8,548,974	13%	9,234,072	11%
2018 (მარტი)	1,000,423	46%	7,776,536	-9%	8,776,959	-5%

#### შენიშვნა:

- ცხრილში მოცემული გამოშვებული სადებეტო ბარათების რაოდენობის 0,2%-ს შეადგენს „ვიზას“, „მასტერქარდის“ და ლოკალური წინასწარი გადახდის ბარათები.

## 2018 წლის I კვარტალში ქართული ბარათებით განხორციელებული ოპერაციები




### 2018 წლის I კვარტალში:

- ⊗ ქართული საგადახდო ბარათებით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სულ შესრულდა 51,9 მლნ ოპერაცია, თანხობრივად 5.1 მილიარდი ლარი. აქედან ოპერაციების რაოდენობის 96% და თანხის 93% შესრულდა ქვეყნის შიგნით, ხოლო შესაბამისად 4% და 7% ქვეყნის გარეთ.
- ⊗ სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების რაოდენობის წილმა სულ შესრულებულ ტრანზაქციებში შეადგინა 69%, ხოლო თანხის წილმა 25%. აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 1%-ული პუნქტით როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად გასული (IV კვ., 2017 წ.) კვარტლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.
- ⊗ სულ ქართული საგადახდო ბარათებით შესრულებული ტრანზაქციები გაიზარდა 1%-ით რაოდენობრივად და შემცირდა 8%-ით თანხობრივად წინა, 2017 წლის IV კვარტლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.
- ⊗ 2017 წლის I კვარტალთან შედარებით ქართული საგადახდო ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციები გაიზარდა 38%-ით რაოდენობრივად და 27%-ით თანხობრივად. მათგან სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 49% რაოდენობრივად და 46%-ით თანხობრივად. ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების რაოდენობა კი გაიზარდა 17%-ით და თანხა 21%-ით.


ქვეყნის შიგნით ქართული საგადახდო ბარათებით I კვარტალში განხორციელებული ოპერაციების რაოდენობა

მილიონი ოპერაცია




ქვეყნის შიგნით ქართული საგადახდო ბარათებით I კვარტალში განხორციელებული ოპერაციების თანხა

მილიარდი ლარი



ქვეყნის შიგნით სავაჭრო /მომსახურების ობიექტებში ქართული ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციების დინამიკა 2014-2018




*2018 წლის I კვარტალში საქართველოში გამოშვებული ბარათებით ქვეყნის შიგნით სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში არსებული პოს-ტერმინალებით (ვირტუალური ტერმინალების ჩათვლით)*

- ⊗ განხორციელდა 34.3 მლნ ოპერაცია თანხობრივად 1.0 მილიარდი ლარი.
- ⊗ შესრულებული ოპერაციების რაოდენობის აღნიშნული მაჩვენებელი 4%-ით, ხოლო თანხის 2%-ით მეტია წინა (IV კვ., 2017წ.) კვარტლის შესაბამის მაჩვენებლებზე.



ქართული ბარათებით ქვეყნის შიგნით ნაღდი თანხის გატანის ოპერაციების დინამიკა  
2014 - 2018




2018 წლის I კვარტალში ქართული ბარათებით ქვეყნის შიგნით


- ⊗ განხორციელდა 15.8 მლნ ნაღდი ფულის გატანის ოპერაცია, თანხობრივად 3.7 მილიარდი ლარი.
- ⊗ აღნიშნული ოპერაციების რაოდენობრივი მაჩვენებელი 4%-ით, ხოლო თანხობრივი 9%-ით ნაკლები წინა (IV კვ., 2017) კვარტლის შესაბამის მაჩვენებლებზე.




### ქვეყნის შიგნით გადახდის პოს-ტერმინალებში განხორციელებული ტრანზაქციების თანხის შედარება წინა წლებთან




### ქვეყნის შიგნით ნაღდი ფულის გატანის ოპერაციების თანხის შედარება წინა წლებთან




ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის ოპერაციების რაოდენობის წილობრივი  
მაჩვენებლები 2014 - 2018




ნაღდი ფულის გატანისა და გადახდის ოპერაციების თანხის წილობრივი მაჩვენებლები  
2014 - 2018



## ინტერნეტით განხორციელებული ოპერაციები



## ინტერნეტ-გადახდების წილი პოს-ტერმინალით გადახდის ოპერაციებში



### 2018 წლის I კვარტალში:

სულ ქართული ბარათებით შესრულდა 7.4 მლნ ინტერნეტ-გადახდა თანხობრივად 442 მლნ ლარი.

წინა (IV კვ., 2017წ.) კვარტალთან შედარებით ქართული ბარათებით შესრულებული ინტერნეტ-გადახდები გაიზარდა 28%-ით რაოდენობრივად და 34%-ით თანხობრივად.

2017 წლის I კვარტლის მონაცემებთან შედარებით ინტერნეტ-გადახდების რაოდენობა გაიზარდა 83%-ით და თანხა 82%-ით.

ინტერნეტ-გადახდების წილის მაჩვენებელი სულ პოს-გადახდებში გაიზარდა 4%-ული პუნქტით რაოდენობრივად და 7%-ული პუნქტით თანხობრივად, წინა (IV კვ., 2017წ.) კვარტლის მაჩვენებლებთან შედარებით.

საგადახდო ბარათების მიმღები მოწყობილობების დინამიკა  
(მარტი, 2015–2018)

